ო ქ მ ი N 2

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2018 წლის 31 იანვარი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ვლადიმერ ქანთარია
2. ნიკოლოზ ვეკუა
3. იგორ გოგოლაძე
4. გოჩა ჯობავა
5. გენადი ქაძანაია
6. აკაკი ხურცილავა
7. როლანდ სერგია
8. შადიმან ჭილაია
9. კონსტანტინე ნასარაია
10. კახა ლატარია
11. დავით ცინაძე

მოწვევით დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი.

ზ. - ბუკია ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი.

სხდომას ესწრებოდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ქარდავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის მ. ჩოკორაიას 2018 წლის 16 იანვრის N 05/177 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხს:

კენჭისყრის შედეგები: სხდომას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი.

მომხრე - 11 **წინააღმდეგი** - არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის მ. ჩოკორაიას 2018 წლის 16 იანვრის N05/177 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის მ. ჩოკორაიას 2018 წლის 16 იანვრის N05/177 წერილის შინაარსი. წერილში მუნიციპალიტეტის მერია ითხოვს, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული ქონება, რომელიც მდებარეობს ქ. ხობში, სტალინის ქ. N6-ში არის დაუტვირთავი, მასში გამონთავისუფლებული 100 კვ. მეტრი ფართი გადაეცეს პირდაპირი განკარგვით იმ იურიდიულ პირს, რომელიც გაიმარჯვებს მოსახლეობის უმწეოთა კატეგორიის პირთა კვებით უზრუნველყოფით ტენდერში. მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ზემოთ აღნიშნული საკითხი ერთხელ უკვე იყო განხილული 2018 წლის 16 იანვრის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის და საკრებულოს ბიუროს სხდომაზე. სხდომაზე აღინიშნა, რომ ზემოთ აღნიშნულ ოჯარის წესით გასაცემ ძირითად (განუსხვისებელ) ქონებას 2017 წელს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ფინანსური ხარჯების ზეგავლენა არ არის ასახული ობიექტის საბალანსო ღირებულების ცვალებადობაზე. გამომდინარე აქედან კომისიის წევრებმა სხდომაზე მოწვეულ პირებს დაუსვეს კითხვები, აღნიშნული ჩატარებული სამუშაოების

განხორციელება, ხომ არ გამოიწვევდა შენობის საბალანსო ღირებულების ცვლილებას. მცირე დებატების შემდეგ, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსს დ. ჭოჭუას და მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის ა. ვარდიას ეთხოვათ, საკითხის შესწავლის შემდეგ წარმოედგინათ საბოლოო დასკვნა, საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვამდე. თანხმობის მიღების შემდეგ, კომისიის ყველა წევრი დაეთანხმა აღნიშნულ წინადადებას და საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები: კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი

მომხრე - 11 **წინააღმდეგი** - არც ერთი.

დაადგინეს: სხდომაზე განხილული საკითხი სათანადო შესწავლის შემდეგ ხელახლა წარედგინოს კომისიას და საკრებულოს ბიუროს, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ვლადიმერ ქანთარია